KA030153198670718

№ 01-9044 **25 / აპრილი / 2018 წ.**

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ნოე ქინქლაძეს

ბატონო ნოე,

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტმა განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 20 აპრილის N01-8638 წერილი შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ 2018 წლის ბიზნეს-გეგმის ზარალით დამტკიცების შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ 100%-იანი სახელმწიფო წილის მმართველია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ცენტრის მართვაში არსებული 15 კლინიკიდან ცხრა მაღალმთიანი და სამი სპეციალური დანიშნულების (ბორითი, გუდაური, ზუგდიდი) ობიექტია, რომლებიც მათივე სტატუსის გათვალისწინებით (რეგიონის მოსახლეობა, სპეციალური სერვისების მიწოდება) შესაძლებლობას მოკლებულნი არიან მნიშვნელოვნად გაზარდონ შემოსავლები.

დედოფლისწყაროს, ხარაგაულისა და ლანჩხუთის კლინიკების სამედიცინო მომსახურების მაქსიმალური ზრდის (20-25%), ასევე თეთრიწყაროს, წალკისა და ზუგდიდის სამედიცინო დაწესებულებების მიერ მიწოდებული სერვისების ზრდის ხარჯზე (5-10%), შესაძლებელია, ცენტრის საერთო რეალიზაცია გაიზარდოს დაახლოებით 5-10%-ით.

2017 წელს ცენტრის საოპერაციო შემოსავლების მოცულობა განისაზღვრა 8851420 ლარით (დაგეგმილზე 514314 ლარით ნაკლები). გეგმასა და ფაქტიურ შემოსავალს შორის სხვაობიდან 331041 ლარი მოდის სპეცდაფინანსების დამატების ყოველთვიური ლიმიტის შედეგად აუთვისებელ თანხებზე.

2018 წელს ცენტრის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით, მთლიანი შემოსავლები შეადგენს 10240988 ლარს, წმინდა მოგება/ზარალი - 798148 ლარს.

წმინდა მოგების უარყოფითი მაჩვენებლის მიუხედავად, ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის განვითარების პოლიტიკიდან და შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ კლინიკების სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, დეპარტამენტს უარყოფითი პოზიცია არ გააჩნია, რომ დამტკიცდეს წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმა.

პატივისცემით,

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის
უფროსი, პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი

მარინა დარახველიძე